სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

PMCG Research

სექტემბერი 2025

•2025 წლის სექტემბერში საქართველოს სასტუმროს ფასების ინდექსი შემცირდა 9.2%-ით წინა თვესთან შედარებით; ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა გურიაში, აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში.
• 2025 წლის სექტმბერში საქართველოს სასტუმროს ფასების ინდექსი შემცირდა 1.8%-ით წინა წელთან შედარებით; ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა აჭარაში, თბილისსა და კახეთში.
• ოთახის საშუალო ფასი 2025 წლის სექტემბერში მერყეობდა 111 ლარიდან 440 ლარამდე.

სასტუმროს საშუალო ფასები

2025 წლის სექტემბერში საქართველოში სასტუმროების საშუალო ფასმა[1] საოჯახო ტიპის სასტუმროებში[2] **111 ლარი** შეადგინა, 3-ვარსკვლავიან სასტუმროებში - **163 ლარი**, ხოლო 4-ვარსკვლავიან სასტუმროებში **- 254 ლარი.** 2025 წლის სექტემბრის 3-ვარსკვლავიანი, 4-ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით მოცემულია გრაფიკი 1-ზე.

2025 წლის სექტემბერში საქართველოში 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი იყო **440 ლარი**. ყველაზე მაღალი საშუალო ფასები დაფიქსირდა კახეთში - **592 ლარი**, თბილისში - **569 ლარი** და გურიაში - **504 ლარი**.



გრაფიკი 1: 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2025 წლის სექტემბერში, ლარში)

სასტუმროს ფასების ინდექსი

2025 წლის სექტემბერში 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 9.3%-ით შემცირდა წინა თვესთან შედარებით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ინდექსი - 7.3%-ით. მთლიანობაში, 2025 წლის სექტემბერში სასტუმროს ფასების ინდექსი 9.2%-ით შემცირდა 2025 წლის აგვისოსთან შედარებით.

2025 წლის სექტემბერში 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 3.0%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ინდექსი 0.4%-ით გაიზარდა. მთლიანობაში, 2025 წლის სექტემბერში სასტუმროს ფასების ინდექსი 1.8%-ით შემცირდა 2024 წლის სექტემბერთან შედარებით.

რეგიონი[4]	3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი		საოჯახო ტიპის		ყველა სასტუმრო	
	სექტემბერი/ თვიური (%)	სექტემბერი/ წლიური (%)	სექტემბერი/ თვიური (%)	სექტემბერი/ წლიური (%)	სექტემბერი/ თვიური (%)	სექტემბერი/ წლიური (%)
კახეთი	2.7%	-2.2%	-3.9%	-2.3%	-0.7%	-2.3%
იმერეთი	4.8%	11.9%	-2.1%	6.9%	2.0%	9.2%
გურია	-26.0%	16.4%	-21.3%	-	-24.0%	26.1%
ქვემო ქართლი	-7.0%	-	-2.0%	-	-5.2%	-
აჭარა	-21.8%	-7.4%	-16.9%	0.2%	-20.9%	-5.7%
რაჭა	-2.5%	-	-0.8%	3.9%	-1.5%	3.9%
შიდა ქართლი	-5.6%	-7.3%	-0.4%	23.9%	-2.9%	7.2%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0.3%	4.3%	-7.8%	5.5%	-3.5%	5.0%
სამცხე-ჯავახეთი	-11.0%	-4.4%	-5.8%	20.3%	-9.1%	10.5%
მცხეთა-მთიანეთი	-6.7%	-2.3%	-4.0%	-1.9%	-5.9%	-2.1%
თბილისი	-6.1%	-3.6%	-2.5%	-2.6%	-5.4%	-3.5%
სულ ფასების % ცვლილება	**-9.3%**	**-3.0%**	**-7.3%**	**0.4%**	**-9.2%**	**-1.8%**

ცხრილი 1: თვიური და წლიური ინდექსების ცვლილება (2025 სექტემბერი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3-, 4-, 5-ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვებით. ანალიზში შედის booking.com-ზე რეგისტრირებული სტრატიფიცირებულად არჩეული 571 3-, 4-, 5-ვარსკვლავიანი და 368 საოჯახო ტიპის სასტუმრო. საშუალო ფასები გამოითვლება მიმდინარე თვეში ხელმისაწვდომი სასტუმროების საშუალებით.
2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სა-დაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.
3 სასტუმროების ფასების ინდექსი გამოითვლება მიმდინარე და საბაზისო პერიოდში ხელმისაწვდომი სასტუმროების მიხედვით, სამომხმარებლო ფასების ინდექსის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით (CPI: "Theory and Practice", 2004; Practical Guide, 2009).
4 ინდექსები არ არის ნაჩვენები ისეთი რეგიონებისთვის, რომლებისთვისაც მონაცე-მები მიუწვდომელი ან არასაკმარისი იყო. თუმცა, ყველა მონაცემი გათვალისწინებულია მთლიან რეგიონულ ინდექსში.